ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-84

ქ. თბილისი 16 დეკემბერი 2021 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ბერიკა შუკაკიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს „ნიუტონი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯაფარიძის სახით;
მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ხუდადოვის N 3.
საიდენტიფიკაციო კოდი: 402031430;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE76BG0000000723038800

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების ნიმერი NAT210022406) საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. „ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება" – ვალდებულების, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;
1.3. „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა" – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, საბავშვო ბაღებისთვის გადასაცემი სასწავლო რესურსების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა (79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ბეჭდვითი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 21 400 (ოცდაერთიათას ოთხასი) ლარს დღგ-ს გარეშე;
3.3 დასაბეჭდი პროდუქციის რაოდენობა და ტირაჟი, ასევე გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერილობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N1-ში.
3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები (პროგრამული კოდი 320213) და 2021 წელს გაეროს ბავშვთა ფონდი (unicef) საგრანტო ხელშეკრულება (GEO/TPDC/CP06/2021/001) ორგ კოდი 2300.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება დააკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 დაბეჭდილი მასალის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით;

5.2 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გმირ სანდრო ეულის ქ. N 5.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4 ნაბეჭდი მასალის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის უფლება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საწყობის მენეჯერს გოჩა ბასილაიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.3 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.4 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;
8.3.5 წარუდგინოს შემსყიდველს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.
8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % ოდენობით;
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % ოდენობით;
9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება;
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, "არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა" პროგრამის მენეჯერი ნინო ბერიკაშვილი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ ელექტრონულად ან დაამოწმეს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.;

16.8 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ელექტრონულად ან დაამოწმეს კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	შპს „ნიუტონი"
ბერიკა შუკაკიძე დირექტორი	**გიორგი ჯაფარიძე** დირექტორი

დანართი N1

#		დასახელება	სპეციფიკაცია/მახასიათებლები	გვერდები რაოდენობა (კორექტირებული)	ტირაჟი 1	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1		**გზამკვლევები ქართულენოვანი მასწაავლებლებისთვის**					
		1 სერია 8 თემის გზამკვლევი					
	1	საჭმელი	A4 ფორმატი; ყდა: 200 გრ ცარცი, შავ-თეთრი, ცალმხრივი; შიგთავსი: 80გრ ოფსეტი, შავ-თეთრი ორმხრივი; აკინძვა: სტეპლერი	60	12	**6.3**	75.60
	2	ლამაზი ტანსაცმელი		72	12	**7.5**	90.00
	3	ლურჯი პეპელა		52	12	**5.5**	66.00
	4	წითელი ბუშტი		60	12	**6.3**	75.60
	5	წითელი ჭიამაია		44	12	**4.7**	56.40
	6	თოვლის ბაბუა		64	12	**6.7**	80.40
	7	ეზოში ლეკვთან ერთად		56	12	**5.9**	70.80
	8	ელენე და მისი კატა		52	12	**5.5**	66.00
2		**ბროშურა 3 სერია 24 თემა (მოდული)**					
		1 სერიის ბროშურები					
	1	საჭმელი	ფორმატი: ა5 ყდა: 250გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4, გლუვი ლამინაცია ცალმხრივი. შიგთავსი: 150გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4: აკინძვა: სტეპლერით	24	12	**5.8**	69.60
	2	ლამაზი ტანსაცმელი		20	12	**5**	60.00
	3	ლურჯი პეპელა		20	12	**5**	60.00
	4	წითელი ბუშტი		16	12	**4.2**	50.40
	5	წითელი ჭიამაია		12	12	**3.4**	40.80
	6	თოვლის ბაბუა		12	12	**3.4**	40.80
	7	ეზოში ლეკვთან ერთად		24	12	**5.8**	69.60
	8	ელენე და მისი კატა		20	12	**5**	60.00
		2 სერიის ბროშურები					
	1	ორი ოჯახი	ფორმატი: ა5 ყდა: 250გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4, გლუვი ლამინაცია ცალმხრივი. შიგთავსი: 150გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4: აკინძვა: სტეპლერით	8	12	**2.6**	31.20
	2	ყოჩაღი ეკა		20	12	**5**	60.00
	3	ყვითელი ქოლგა და ბანანი		20	12	**5**	60.00
	4	სამი ლოკოკინა		28	12	**6.6**	79.20
	5	ნატო ავადაა		20	12	**5**	60.00
	6	ელენე უკვე დიდი გოგოა		24	12	**5.8**	69.60
	7	დაკარგული ჩუსტი		16	12	**4.2**	50.40
	8	პარკში		20	12	**5**	60.00

		3 სერიის ბროშურები					
	1	მაღაზიაში	ფორმატი: ა5 ყდა: 250გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4, გლუვი ლამინაცია ცალმხრივი. შიგთავსი: 150გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4: აკინძვა: სტეპლერით	28	12	**6.6**	79.20
	2	საპნის ბუშტები		16	12	**4.2**	50.40
	3	საახალწლო საჩუქრები		12	12	**3.4**	40.80
	4	ახალ ბუდეში		24	12	**5.8**	69.60
	5	ბაბუს მოყვანილი წვიმა		20	12	**5**	60.00
	6	თათას და ბატკნის თავგადასავალი		20	12	**5**	60.00
	7	ორი მეგობარი		20	12	**5**	60.00
	8	ხუჭუჭა თათა და თეთრი ბატკანი		16	12	**4.2**	50.40
3		**ბარათები 24 თემის ლამინირებული**					
		1 სერიის თემების ბარათები					
	1	საჭმელი	ზომა: A6 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	31	12	**6.2**	74.40
	2	ლამაზი ტანსაცმელი		21	12	**4.2**	50.40
	3	ლურჯი პეპელა		19	12	**3.8**	45.60
	4	წითელი ბუშტი		10	12	**2**	24.00
	5	წითელი ჭიამაია		14	12	**2.8**	33.60
	6	თოვლის ბაბუა		15	12	**3**	36.00
	7	ეზოში ლეკვთან ერთად		23	12	**4.6**	55.20
	8	ელენე და მისი კატა		0	12	**0**	0.00
				133			
		2 სერიის თემების ბარათები					
	1	ორი ოჯახი	ზომა: A6 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	19	12	**3.8**	45.60
	2	ყოჩაღი ეკა		24	12	**4.8**	57.60
	3	ყვითელი ქოლგა და ბანანი		10	12	**2**	24.00
	4	სამი ლოკოკინა		12	12	**2.4**	28.80
	5	ნატო ავადაა		22	12	**4.4**	52.80
	6	ელენე უკვე დიდი გოგოა		11	12	**2.2**	26.40
	7	დაკარგული ჩუსტი		8	12	**1.6**	19.20
	8	პარკში		9	12	**1.8**	21.60
				115			
		3 სერიის თემების ბარათები					
	1	მაღაზიაში	ზომა: A6 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	13	12	**2.6**	31.20
	2	საპნის ბუშტები		8	12	**1.6**	19.20
	3	საახალწლო საჩუქრები		12	12	**2.4**	28.80
	4	ახალ ბუდეში		7	12	**1.4**	16.80
	5	ბაბუს მოყვანილი წვიმა		14	12	**2.8**	33.60

	6	თათას და ბატკნის თავგადასავალი		10	12	**2**	24.00
	7	ორი მეგობარი		10	12	**2**	24.00
	8	ხუჭუჭა თათა და თეთრი ბატკანი		14	12	**2.8**	33.60
				88			
		სულ 3 სერიის ფასთა ჯამი					
4		**დამხმარე მასალა - 8 მოდულის ბავშვისთვის და აღმზრდელისთვის; მასწავლებლის პაკეტი; დამოუკიდებელი სახელოსნოებისთვის**					
		გასაფერადებლები ყველა ბავშვისთვის	A4 ფორმატი, 80გრ ოფსეტი, შავ-თეთრი, ცალმხრივი, აკინძვის გარეშე	22	380	**1.1**	418.00
		მოდულების მიხედვით ყველა ჯგუფისთვის ფერადი ა4 ფორმატი					
		მასწავლებლის ნაკრები 1 ეგზ, დამოუკ. სახელ. 2-2 ეგზ	A4 ფორმატი, ფერადი ცალმხრივი, 200 გრ. ცარცი გლუვი	350	12	**122.5**	1470.00
5		**3-5 წწ გზამკვლევი აზერბაიჯანულ ენაზე, (240გვ) ლაბარტყავა**	ფორმატი: A4; ყდა: 200გრ ცარცი, შავ-თეთრი, ცალმხრივი; შიგთავსი: 80გრ ოფსეტი, შავ-თეთრი ორმხრივი: აკინძვა: თერმული	240	4	**25.5**	102.00
		3-5 წწ გზამკვლევი სომხურ ენაზე, (240გვ) ლაბარტყავა		240	9	**25.5**	229.50
		3-5 წწ გზამკვლევი ქართულად (240გვ) ლაბარტყავა		240	3	**25.5**	76.50
6		**ილუსტრაციების კრებული** (ვარიაცია)	A4 200 გრ. ცარცი ფერადი ცალმხრივი, გლუვი ლამინაციით	168	12	**100.8**	1209.60
7		სასკოლო მზაობის აქტივობათა კრებული ნაწ.1 (ტექსტი შავ-თეთრი, ფერადი ჩანახატებით და ფოტოებით, დასაკაბადონებელი)	ფორმატი: A4 ყდა: 250 გრ ცარცი/მატი, ფერადი 4/4, გლუვი ლამინაცია ცალმხრივი. შიგთავსი: 115გრ. ცარცი/მატი, ფერადი 4/4, აკინძვა: სტეპლერით	132	15	**54**	810.00
		სასკოლო მზაობის აქტივობათა კრებული ნაწ.1 (ტექსტი შავ-თეთრი, ფერადი ჩანახატებით და ფოტოებით, დასაკაბადონებელი) აზერბაიჯანულად		132	4	**54**	216.00

		სასკოლო მზაობის აქტივობათა კრებული ნაწ.1 (ტექსტი შავ-თეთრი, ფერადი ჩანახატებით და ფოტოებით, დასაკაბადონებელი) სომხურად		132	11	**54**	594.00
8	1	სასკოლო მზაობის კურიკულუმის დამხმარე მასალა/ილუსტრაციები ა4 ფერადი ლამინირებით	A4 300 გრ ბრისტოლი, ფერადი ცალმხრივი, ლამინაციის გარეშე	70	20	**42**	840.00
	2	სასკოლო მზაობის კურიკულუმის დამხმარე მასალა/სამუშაო ფურცლები	A4 ფორმატი, 80გრ ოფსეტი, შავ-თეთრი, ცალმხრივი, აკინძვის გარეშე	15	300	**0.75**	225.00
		სულ ჯამი ბილინგვურის მასალის					
		პროგრამის ყველა ბაღისთვის			**ტირაჟი 1**		
9		2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის კურიულუმი/მეთოდოლოგია	A4; ყდა: 250 გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4, გლუვი ლამინაცია ცალმხრივი. შიგთავსი: 115-130 გრ ცარცი მატი, ფერადი 4/4; აკინძვა: სტეპლერით	160	40	**32.6**	1304.00
10		სცენარები		88	40	**18.2**	728.00
11		ხარისხის სტანდარტის გზაკვლევი ქართულად		200	85	**40.6**	3451.00
		ხარისხის სტანდარტის გზაკვლევი აზერბ.		200	7	**40.6**	284.20
		ხარისხის სტანდარტის გზაკვლევი სომხურად		200	17	**40.6**	690.20
12		განათლების სტანდარტები ქართულად		96	37	**19.8**	732.60
		განათლების სტანდარტები აზერბაიჯანულად		96	7	**19.8**	138.60
		განათლების სტანდარტები სომხურად		96	17	**19.8**	336.60
13		ადრეული ინკლუზიური განათლება (ნაწილი 1)		36	55	**7.8**	429.00
		ადრეული ინკლუზიური განათლება (ნაწილი 2)		68	55	**14.2**	781.00
		ადრეული ინკლუზიური განათლება (ნაწილი 3)		40	55	**8.6**	473.00
14		პრობლემის გადაჭრის ბარათები	A6 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	9	65	**1.8**	117.00

15		დღის განრიგის ბარათები	A5 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	10	65	**4**	260.00
16		კუს ტექნიკის ბროშურა	A5 300 გრ ცარცი, ფერადი ორმხრივი	8	65	**6.4**	416.00
17		კუს ტექნიკის ბარათები	A6 300 გრ ბრისტოლი ფერადი ცალმხრივი	9	65	**1.8**	117.00
18		სერტიფიკატები	A4 200 გრ ბრისტოლი ფერადი	1	400	**0.39**	156.00
19		სტანდარტის რუკები პოსტერები	A2 200 გრ ბრისტოლი ფერადი	6	70	**28.8**	2016.00
ჯამი							**21400**

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ზერიგა შუკაკიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ნიუტონი"

გიორგი ჯაფარიძე
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) და ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „ნიუტონი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

/ზ. შუკვაკიძე/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი

/ი. ძებისაური/

შემსრულებელი:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესყიდვების მენეჯერი

/ზ.ხეცურიანი/